

140  
1940 1/2

# პიტიუნი

საქართველოს  
განმანათლებლო  
აღმსრებლები





# პიონერი

სამ. აღკვ ცენტრალური კომიტეტისა და  
სამ. განსახორმის მეთთვიური შუანალი  
ივლისი 1940 წ. № 7

„ПИОНЕРИ“ журнал Центрального Комитета ЛКСМ Гр. и Наркомпроса Грузии.

ამომცემლობა „კომუნისტი“, რედაქციის მისამართი: თბილისი, გობიოვადვის ქ. № 34, ტელ. 3-02-61.

## შინაარსი

	83-
1. გიორგი ძაბახიძე.—საბჭოთა კრესტერები (ლექსი) . . . . .	1
2. აღღია მგამღიძე.—ძმას კაპიტანს (ლექსი) . . . . .	1
3. ან. ღულარაძე.—რევოლუციის მგზნებარე რანდი . . . . .	2
4. იანკა კუპალა.—ყმაწვილი და მფრინავი (ლექსი) . . . . .	7
5. ვაღია კუპალა.—ნათელა აგარაკს ესტუმრა (ლექსი) . . . . .	8
6. „პ. პ.“—ლუკმაპურისათვის (ეპიზოდები ამერიკელ ბავშვთა ცხოვრებიდან) . . . . .	8
7. ღავით შამათავა.—შეღვევ (ისტორიული მოთხრობა) . . . . .	9
8. თამარ ანაშაძე.—პირველი საბავშვო რკინიგზა (ნარკვევი) . . . . .	11
9. ოსკარ უაილდი.—ვარსკვლავის შვილი (ზღაპარი) . . . . .	14
10. ნორჩი მოცეკვავეები, მომღერლები, დეკლამატორები (წერილი) . . . . .	გვ. 3
11. თამარ შამგუჯაშვილი.—ბზრიალა (ნოტი: მუსიკის მოსმენისათვის) . . . . .	გვ. 4

ფორნალის დასურათება და ყდის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ ო. ქოქაშვილს.

პასუხისმგებელი რედაქტორი—ან. ღულარაძე

პასუხისმგებელი მდივანი—გ. სიგზილაძე

გადეცა წარმოებას 27/VI 1940 წ.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/VIII 1940 წ.

ქალაქის ზომა 62×92  
ფორმათა რაოდენობა 20 გვ. 9<sup>1</sup>/<sub>2</sub>×14

მოავლიტის რეჟინგოლო (Уполн. главл. № 2328. შავი. (Заказ) № 805. რბრაი (Тираж) 8.900.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.—Полиграфкомбинат „Комунисти“, имени Я. П. Берия, Тбилиси, ул. Ленина № 28.

# საბჭოთა კრეისერები



342.

მიმოდინ დინჯად ზღვაზე,  
მძივე ტალღებს მძარდით შრინან.  
ჭურს უბღებან ზღვის კარისხალს,  
მტრის ბიშების კარის შრიალს.

შორს თვალუბის მოსავლებად  
მაღალი აჰვს ანძა ყველას,  
უჭურბენ, ზღვა ვეიბა  
რა ფიქრით და გულით ლულავს.

ბუბუნებან და ლაბიტაც  
მარსკვლავების მსბავსად ღვიძამთ,  
რომ თავზედი მტრის მუშაკა  
ააშორონ შოთხელ მიჯას.

# მას კავიშანს

ღირია მებრედიძე

მტრედისფერ ცას,  
ვარსკვლავთ შროშანს,  
რომ გასცქერი კენტად,  
უჭ, ძამიკო,  
როგორ შორს ხარ,  
რას ოცნებობ, ნეტავ?

იქნებ ფიქრებ  
ფრთავაშლილი  
კვლავ სამშობლოს დასცქერ,  
მხარემ  
ვარდებგაღვილიშა  
სიხარული გამცენს.

გულში გიძეეს  
უქრობ ალად  
საბჭოეთის მიწა,  
მისთვის იკრებ  
რკინის ძალას,  
მას ეტრფი და იცავ.

შენს თვალებში  
მზე მოჩანს და  
ზეირთი-ზეირთებს არხეეს...  
წინ მიგძღვის  
ქვეყნის დროშა  
და ბელადის სახე.



„Когда теперь, у раскрытого граба, вспоминаешь весь пройденный путь Дзержинского — торжи, на торгу, ссылку, черезвычайную миссию по борьбе с контрреволюцией, восстановление разрушенного транспорта, строительство молодой социалистической промышленности хочется одним словом охарактеризовать эту кипучую жизнь: горение. Горение и геройская отвага в борьбе с трудностями“.

С. Сталин



## ჩაპოლუშიის გზნაბაკე ჩინლი

ან. ლუაკიძე

\* \* \*

ის, მდინარის ნაპირას მოლზე ჩამომჯდარიყო, თავის საყვარელ ადგილას, იქ, სადაც მდორედ მომდინარე წყალი ვაკე კალაპოტიდან ღრმად ჩათხრილ დაბლობში ეშვებოდა. რძისფერი ტალღების ხმაური და ტყის ნელი შრიალი მის ბავშვურ ოცნებას ათასფერ ფრთებს შეასხამდა, საოცნებო სამყაროში გადააფრენდა... სილამაზისა და ბედნიერების სამყაროში არავ არღებდა... ამიტომ უყვარდა მასწავლებელ ედმუნდ ძერჯინსკის პატარა ბიჭუნას — ფელიქსს მდინარის ეს ნაპირი და ეს წყნარი მიდამო.

სალამო ახლოს იყო. ბიჭუნა კი შინც რაღაცას ჩასჩინებდა, შინ წასვლას კი არ აპირებდა. უცებ, თითქოს ძილიდან გამოადვიძესო, ბიჭუნა გამოცოცხლდა. ისედაც ფერმკრთალი სახე უფრო გაუფიქრდა, ბაგე მოკუშა, პატარა თითები მაგრად ჩაკუმშა ხელისგულებში და ხმამალა წამოიძახა:

— ახ! ნეტავ მეც მიშოგინა უჩინ მაჩინის ქული. აი. ისეთი, როგორიც ცეროდენამ იშოვნა. ოო, მაშინ ნახონ რეგებს ჩაივლენ. ფოლადის აბჯარს ავისხამდი, ფოლადის ხმალს დაევიტერდი და ყველა მასკალებს, პანებს, იაზონლარ ჩასუქებულ პანებს და ჩერჩეტ ქსენზებს სულ ამოეწყვეტავდი.

როგორ არა. ვანა ისინი ამის ღირსნი არ არიან?! ჰე! წარმოიდგინეთ, არ მუშაობენ საკუელი კი ბევრი აქეთ, ტანსაცმელიც; ბაღებიც იმათია, ტყეც, მინდორიც. მერე კიდევ რა ლამაზ სასახლებში ცხოვრობენ, მოსამსახურებები ევლემბიან თავს.

პატარა ფელიქსს საფეთქელეთან მოლურჯო ზოლები დაეტყო. შეშფოთდა... ანგარიშიუცემლად წამოიჭრა ზეზე, მაგრად ჩაკუმშული პატარა მუშტები ჰაერში შეატრიალა და ტყის, გამარჯვების იერიანი, მედგარდ შესახაა ასე და მდინარეს:

— ჩვენ გავიმარჯვეთ, მე ვიშოვნი უჩინ-მაჩინის ქულს და იმ მასკალებს მაშინ...

თუმც ვაზაფხული იყო, მაგრამ შემოდგომის წვიმა სცრიდა. პლატფორმაზე მატარებლადან ისინი იყო ჩამოსულ გიმნაზიელს შეხვდა შავი ფერის პრილა საწვინარში გამოწყობილი მეტელ და ანიშნა მას გაპოლოდა. გიმნაზიელმა მაზარის საყელო აიწია, წიგნების შეკვრა, რომელიც აქამდე ხელში ეჭირა, უბეში ჩაიწყო და გაკუვა მეტელს. საღვთის დაბალი შენობის უკან, მოედანზე, მათ უცდიდა ყვილიათ შეღებილი ინგლისური ეტლი. ისინი მოთავსდნენ. მეტელის პირველსავე ნიშანზე ცხენები მაშინვე მოსწყდნენ ადგილს და ჯიქური ქენებით გაქანდნენ.

კერძო მესაკუთრის მამულში თვით მებატონე შეხვდა გიმნაზიელს.

— მოხარული ვარ თქვენს დანახვით, ბატონო ძერჯინსკი, — უთხრა მან გიმნაზიელს, მის გამხდარ ხელს მაგრად მოუჭირა თაივის თბილი და ფაფუკი კი ხელი, და სამაგიერო პასუხის მოლოდინში ერთხანს დარჩა ასე, მაგრამ სტუმარი ხმას არ იღებდა.

— მაშ, ასე, განაგრძო ისევ მემამულემ, — დირექტორმა ძლიერ მიტო თქვენი თვის. ის მელაპარაკა თქვენს შესანიშნავ უნაჩინაზაზე და ნიჭზე; თქვენს შეუპოვრობასა და ნებისყოფაზე. უნდა გაგაფრთხილოთ რომ ჩემი ვაგი — თქვენი რომაგალი მოწავე მეტისმეტად არის გათამამებული.

— კი, მე მსმენია, — გასცა პასუხი ძერჯინსკომ.

— მაგრამ იმედი მაქვს მორიგდებით, — ჩაილაპარაკა მებატონემ. გიმნაზიელი დუმდა.

კარგა ხანს ვაგრძელდა მომამბურებელი საუბარი მებატონესა და გიმნაზიელს შორის. შემდეგ კი, მემამულემ დაუძახა ლაქიას და უთხრა.

— ეგნატე, გააცილე სტუმარი თავის ოთახში. მელორტი ლაქია დაკვირვებით ათვალიერებდა



ახალგაზრდა სტუმარს, რომელსაც ძალზე ფერ-  
მკრთალი სახე ჰქონდა და ფეხზე შეცვეთილი ფეხ-  
საცმელი ეცვა. მგონი აკვირებდა ლაქიას ყველა-  
ფერი ეს.

ოთახის კარებთან მისვლისთანვე ძერჯინსკიმ  
მიმართა ფენატუს: გამაღლობთ, თქვენ მე აღარ მჭირ-  
დებათ.

- ბატონო, ბარგის გახსნა ხომ გინდათ?
- მე არა მაქვს ბარგი.
- მაშ, როგორ მიიღებ ბატონი აბაზანს?
- მე თვით ვბანაობ.
- მერე და ვინ მიართმევს ბატონს კაბას?
- მე თვით, გამაღლობთ.

ლაქიამ მხრები აიწია და ცივად გაბრუნდა.

ძერჯინსკიმ წვიგნები მაგიდაზე დალაგა, ჭული  
ჩამოჰკიდა, მიაკერა აწყვეტილი დიდი მანარას,  
გაბანდა, შემდეგ წესიერად გადვივარცხნა თავისი  
მსუბუქი თხელი თმები შუბლიდან, გადმოიღო მიც-  
კევიჩის ლუქების ტომეული და დაიწყო კითხვა.  
თავისი მოწვევით მერე დღეს დილით საუზმეზე  
გაიცნო. მრგვალთვალემა ბიჭი, მოუსვენრად აქა-  
ნაევბდა ფეხებს მაგიდის ქვეშ და ცერად გამოჰ-  
ყურებდა ძერჯინსკის.

- რა გქვიან შენ? — ჰკითხა მას ძერჯინსკიმ.
- სტასი, — უპასუხა ბიჭმა.
- მხიარულად ცხოვრობ?
- ისე, არა მიშავს, — უპასუხა სტასმა.
- ამბობენ, შენ ცუდად სწავლობ.

— ცუდად, სთქვა სტასმა, — მე ხომ არც მჭირდება  
კარგად სწავლა, ოფიცრად წავალ, ესაა ჩემი საქმე.  
გვარდიაში შევალ, სიმაღლე კარგი მაქვს...

— სტას, ნუ იქნევ ფეხებს, — გამოელაპარაკა  
მეორე მხრიდან დედა ბიჭს.

— მუღმივე შენიშვნები, — ჩაილაპარაკა სტასმა. —  
გადარევა შეიძლება. თქვენც მომიცემთ ხოლმე შენი-  
შვნებს?

- არა.
- რატომ!
- შენ მე არ მომიწონხარ.
- რატომ? — შეშინებით შეეკითხა სტასი. — ჯერ  
ხომ თქვენ ორი სიტყვაც არ ვითქვამთ ჩემთვის.


იქნებ მე სწორედ ძალიან კარგი ვარ...

ძერჯინსკი დუმდა.

საუბრის შემდეგ ძერჯინსკი და სტასი წავიდნენ  
ბაღში. იასამნები ჰყვავოდა. დილა მიიპარებოდა  
და მზე უფრო აცხუნებდა.

ძერჯინსკი ხარბად აღევნებდა თვალს ბუნების  
სილამაზეს.

- თქვენ სულ იქით-აქეთ იყურებით. უცნაური  
დემერტიანი. ხო, კინაღამ დამავიწყდა, მითხარით,  
რატომ არ მოგწონვართ მე?
- გითხრა?
- მითხარით.
- იმიტომ რომ შენ ბატონიშვილი ხარ. ეს სა-  
ძაგლობაა.
- რა საძაგლობაა ამაში.
- იმიტომ რომ შენ თავდაუქურელი ხარ. ესეც  
საძაგლობაა. ძალზე ცუდია აგრეთვე ის, რომ შენ  
იკვები სიმდიდრით, ცხენებით, ქონებით, ყველა იმით  
რაც შექმნილია არა შენი ხელით...
- მაშინგების ხომ! — წამოიძიხა სტასმა.
- არც მაშინგის.
- მაშ ვისი?
- ყოველ შემთხვევაში, არა შენი, არა მამაშენის  
და არც ბაბუაშენის. რა გაქვს დისაკვები? შენ კი  
ამისათვის სწავლაც არა გსურს კარგად. არ გინდა  
მცოდნე გახდე. ვინა ხარ შენ? გათამამე-  
ბული, აზნეული, ზოპაზე მეტად ყბედი, ცალიერი  
მკვებარა... მე მხოლოდ მებრალედი.
- რატომ გებრალეებით? — განცვიფრებით ჰკით-  
ხა სტასმა.
- იმიტომ რომ შენში არავითარი მისწრაფება  
არ არის. შენ ყველაფერი გაქვს. საოცნებო არა-  
ფერი გრჩება. ცხენით გინდა სვირნობა? ინებე,  
ამოიჩრე რომელიც გინდა. ნავით? — აგერ ისინი,  
რამდენია. ყველაფერი შენი სურვილისათვისაა. შენ  
არც კი იცი რა ტკბილია ოცნება და სიძნელით  
მიღწევა რამისა.
- თქვენ რაღაც სამწუხაროს მეუბნებით, —  
სთქვა სტასმა. — ჩემთან ასე ჯერ არავის ულაპა-  
რავნია.
- არავის არ ულაპარაკნია, მე კი ვითხარო.



მამულში ცხოვრება ერთფეროვნად მიდიოდა. ერთხელდასამუდამად დაკარგული წესების მიხედვით. მაგრამ ამ „მუდმივმა წესებმა“ განიცადეს მარცხი. სტასის მამის სიმწვდემ დაეკარგა. დღე ღამე გადარქვა. ამის მიხედვით კი ის იყო, რომ ხალხმა, რომელიც წლებით განიცდიდა მისგან შევიწროვებას, მოთინებდა დაკარგა, სინელიდან სინითლე დინახა და სიმართლისათვის ბრძოლა მოიწადინა. უკმაყოფილებით გულსავე ხალხი სწორ გზას ეძებდა. გზის მაჩვენებელს ნატრულობდა. და აი, ისიც მოახსენ. ეს ის იყო, ჩუმი, ფერმკრთალი გიმნაზიელი.

— ხელს ორასი კაცი არ უნდა გავიდეს სამუშაოდ მამულში, — ეუბნებოდა ძერეინსკი ხალხს, რომელთაც თავი მოეყარა ბლეს ორგოვეცკის ქობთან. ისინი, აქ გასროლილი ტყვიის ხმას მოეზიდა. იმ ტყვიას, რომლითაც მეტატონის მოუარემა საჯარო იფულის გადაუხდებლობისათვის ეს-ეს იყო დასჯარა ორგოვეცკი.

— თქვენ თუ არ გავხალთ სამუშაოდ, — ვანაგრძობდა ძერეინსკი, — სამუშაო შეფერხდება და მეტატონე დათმობაზე წავი. ორასი კაცი დიდი ძალა მამულში. არავინ იქნება: ცხენებს მოუაროს, ძროხები მოწველოს, საქონელი გარეკოს, მინდორში იმუშაოს...

— აი, მე ხომ დიდხანია ვეუბნებოდათ, აი, ეს უკვიანი კაცი იმასვე გვირჩევს რა ახრზედაც მე ვდგეარ. თქვენ კი... — წამოიძახა ერთმა მალაღმა კაცმა.

ცხარე კამათი გაჩაღდა. იყო წინააღმდეგობაც. ბოლოს შეთანხმდნენ.

მეორე დღეს სტასის მამის მამულში ცამდეამწვდელი წიოკობა იღვა. ორასი მუშახელის დაკლებამ იქ საშინელი არე-დარევა გამოიწვია. ცხერების ბლაგიონ, ძროხების ომეილი, დამფრთხალი ქათმების კაკანი, ცხენების ქიხინი, ქალბისა და ბავშვების ისტრუელი წილიც (ას უფრთხებოდა. სტასის ბიძა, უსაქმო ფრანტი ოფიცერი უახროდ მირბი-მორბოდა გრძელ დერეფანზე და ბრაუნინგიდან ჰაერში ისროდა. ძველბუთი დაფანჯული თოფი სტასის ბაბუასაც ჩამოელო კედლიდან და მონრომებით უმიზნებდა ყვავილებს ბალზე მოჯირითე ცხერებსა და ძროხებს. კიდევ კარგი, რომ დამიზნებამ ყოველთვის უღალატა, თორემ ამ „ბრძოლის“ შემდეგ, მამულში ოლბად, სისხლის ზღვა იქნებოდა.

\* \*

ბეგრის დათმობა დასჭირდა სტასის მამის გლეხებთან შესარიგებლად. იმ ერთმა დღემ ხომ, ძალზე დიდი ზარალი მიაყენა მის ქონებას, მაგრამ საყვედურის თქმასაც ვეღარ ბედავდა, ისე იყო ხვედრიდობის ოქცეული, ვიდრე ქალაქში გუბერნატორთან ვაგზანდო კაცი პასუს მოუტანდა. ცდა დიდხანს არ დასჭირდა. ჯარი მოადგა სოფელს. ეგზეტუცია ჩაუყენეს გლეხებს.

\* \*

ამ არე-დარევის დღეებში გიმნაზიელი თითქოს უფრო გაფერმკრთალდა, დავაეკაცდა. სოფელს შეერვია. ღამეებით არ ეძინა, სამუშაო ვერცხედა. მას ხომ, მშვენიერი შემთხვევა ჰქონდა ემოქმედა ჯარისკაცებზე. განემარტა მითვის, რომ ისინი თავიანთე მშების საწინააღმდეგოდ მოუყვანიათ აქ. ერთი ჯარისკაცი „შემთხვევით“ გაიცნო, პაპაროსზე ცეცხლის მოკვლემა შესთავაზა. წაისუბრა. სადაური ხარ, და სხვა.

— მიმისმინე ყმაწვილო, — რაღაც იღუმალი გულისხმიერებით მიმართა ახალგაზრდა ჯარისკაცმა ძერეინსკის, როდესაც დაკვირვებით მიისმინა მისი ორაზროვანი სიტყვები. — შენ ხომ იმთავანი არა ხარ, აი, ემშასაც წაუღობა, როგორ გავაგებინა. ხი, ხალხსათვის რომ იბრძვიდა, უსაპარულობას რომ ებრძვიდა... შენ მე ეგებ რამე წიგნი მომცე. მომცემ?

— არა, უფაბდესია ამის შესახებ ვილაპარაკოთ მე და შენ.

— მერე როდის?

— აი თუნდაც ახლა.

— არკი მომხვედეს. ჩავიმალოთ. ჰე! შეგე, რა დღეა, ესენი კი გლეხების ვასამათარხებლად გეცხიან. არ წავაღ. დაიწყე!

ძერეინსკი ღაპარაკობდა მოკლედ და უბრალოდ. ხან წახებრებდა, ხან კი მისი ნაცრისფერი, ალერსიანი თვლები დამაჯერებელი იმედის ცეცხლით ბრწყინავდა.

ჯარისკაცი დაძაბული ყურადღებით უსმენდა. ხშირად შეწყვეტილებდა საუბარს.

— მოიცა, მამ მიწა გლეხებს, მემამულე კი იქით?

— ორასაკვირელია იქით.

— ოი, მაშინ მემამულე ხომ მეფესთან გაიქცევა საჩივლელოდ.

— ირბინოს.

— როგორ? — აა, მესმის, მეფეც იქით არაა?! — და გემოიღოდ ახითხითა ჯარისკაცი. — ჩემო კეთილბუთი, აი სიერი მაშინ ნახეთ. — გესმის, მერე და ვინ იქნება აი, მაგალითად, მინისტრის მაგეორად? მთავრობა ხომ იქნება.

— იქნება, მუშებისა და გლეხებისა.

— ჰმ! გამოდის, რომ მეც... აი, მე, ჯარისკაცი ბატუმენკო, შეიძლება ვიყო...

— დაიბ! შენ, ისე, სულ უბრალოდა, აბა რა გგონია?

— სასიამოვნოა, ცოტად საშუივც კი, მაგრამ მიინც სასიამოვნოა. — ბეკლავ კმაყოფილებით ახითხითა ჯარისკაცი ბატუმენკო.

\* \*

მარტო ბატუმენკო არ დაიმეგობრა ძერეინსკიმ, მას მალე თითქმის მთელი რაზმი იცნობდა. სოფელში რაღაც საიდუმლო ფურცლები განხდა. მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო აზრები ეყურა იმ



ფურცლებზე. ვინ უშვებდა მათ ვერავენ გაციო, გინაზიელი პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. ამეკადინებდა მებატონის შვილს— სტასს. ბიჭი დღითი-დღე სწორდებოდა, ბევრით გახდა. სტასის მამას მადლობის მეტი არაფერი ჰქონდა სათქმელი. მართალია, მას მაინც აღაშინებდა არ მოსწონდა, რომ ძერჯინსკი სტასთან მეკადინეობის შემდეგ რამდენჯერმე ნახა მამულის გადაღმა მდინარის ნაპირას ათიოდე სოფლის გოგო-ბიჭებს შორის ჩაჯდარი, გვატყებთ მოსაუბრე, მაგრამ ვერაფერი უთხრა ამის შესახებ. თავისთვის კი ბუზღუნებდა: სკოლა გამიხსნა გლეხუბებისათვისო, წიგნს ასწავლისო.

საბოლოოდ კი მაინც ვერ დარჩა საიდუმლოდ, რომ გლეხებისა და ჯარისკაცების ამჯანყებელი სხვა არავინ არ უნდა ყოფილიყო თუ არა სტასის რეპეტიტორი—ძერჯინსკი. და სტასის მამამ ის აითვალწუნა. დაღვა ეამი. ძერჯინსკი აღარ შეიძლებოდა დარჩენილიყო მამულში. და ის იმავე ეტლით, იმავე მეეტლის თანხლებით ქალაქისკენ გაემგზავრა. ნაღვლიანი თვალებით სოფლის ბოლომდე მიაცილეს ტანსაცმელწამოხეულმა ბავშვებმა და როდესაც ეტლი თვალთავან მოფარებას აპირებდა გამეკიდებლებიდან ერთმა ყველაზე მოსწორილმა ბიჭმა თავგამეტებით გასახმა მას:

— ძია... ფელიქს!.. კიდევ ჩამოდი, კიდევ. ჩვენ კი თქვენს დარიცხებს შევასრულებთ, ძია ფელიქს! არაფერს არ დავეციწყებთ...

\* \* \*

ღიადი ოქტომბრის რევოლუცია დავეირვინდა. ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას სჭირდებოდა ადამიანები, თავდადებული მუშაკები. წუთებიც კი ძვირი იყო. ეს მაშინვე მშვენივრად იგრძნო ძერჯინსკი და მიუხედავად მისი ძალზე შერყეული ჯანმრთელობისა, ექვსი წლის ციხისა და ერთადერთი საყვარელი შვილის უნახაობისა, ის ციხიდან პირდაპირ სამუშაოზე გამოიხიდა.

— ყველაფერი რიგზე იქნება, ოღონდ ღიადი საქმე არ ჩამორჩეს. ქვეყნის შვილებს უნდათ პატრონობა. მათ თავმესადავრი და ლუკმაპური უნდა მივაშვოთ.— მტკიცედ სთქვა ძერჯინსკიმ, როდესაც მას უთხრეს თავისი შვილი მაინც ენახა.

და მან იმავე წუთებიდან მართლაც დაიწყო ზრუნვა ქვეყნის შვილებისათვის.

\* \* \*


ის სახლში ბრუნდებოდა. ხელში პატარა მწერკრები ეჭირა. ძალზე ცუდად გრძობდა თავს, ანტიკონევებოდა ის ისე მიმოდ კინებებზე. იქვე ახალგაზრდა ჩეკისტი შემოხვდა, რომელსაც ვიღაცა დედაკაცი მოჰყავდა. უფროსის დანახვაზე ჩეკისტმა კიბებზე შეაჩერა ფეხი და სამხედრო სალამი მისცა. ძერჯინსკიმ სალამზე უპასუხა და შემდეგ ორივენი ყურადღებით აათვალი-ჩაათვალიერა.

— რა მოხდა?— ჰკითხა მან ჩეკისტს.

— ეს დედაკაცი დავაკავი.



— რატომ?  
 — ის მოვიდა თავისი ძმის ამბის საკითხავად.  
 — მერე?  
 — მე დავაპატიმრე.  
 — ასე... — მოვალეშენიშენლოვნად ჩაილაპარაკა ძერჯინსკიმ.— წაიდეთ.— ბოლოს სთქვა მან.  
 დაპატიმრებულ დედაკაცი და ჩეკისტი უხმოდ შეტყვენ მას კაბინეტში.  
 — დაბრძანდით, — შესთავაზა მათ ძერჯინსკიმ. ისინი დასხდნენ.  
 — მომეცით საქმე, რის საფუძველზედაც დააპატიმრეთ თქვენ ეს ქალი, — უთხრა ძერჯინსკიმ ჩეკისტს.  
 — ეს კითხულობდა თავისი ძმის ამბავს, — დაიწყო ახალგაზრდა ჩეკისტმა.



— გავიგე, მაგრამ მე საფუძველი მინდა.  
— მისი ძმა დაბატონებულია პურით ვაპრო-  
ბისათვის.

— კმარა!—სთქვა ძერქინსკიმ,—მე მომბეზრდა  
მერამდენედმე მოვისინო ერთიდაიგივე. თქვენ  
ჩაიღინეთ ბოლშევიკ-ჩეკისტისათვის არასაბატონო  
დანაშაული. დაბატონრეთ უდანაშაულო ქალი. სა-  
ფუძველი კი არ გაგზანიათ.—მისი ხმა მკაცრი იყო,  
თვალეზი ჩამუქებოდა.

— რაც შეეხება თქვენს ძმას—ის უკლი კაცია,  
—მითხრუნდა ფელიქსი დედაკაცს,—სადაგელი კაცია.  
იმ დროს, როცა ჩვენ ყველანი ვისიშობოდათ, და განა  
მარტო ჩვენ, ბავშვებიც სიმშობობენ, თქვენი ძმისა  
სპექულაციის ეწევა პურით, შაქრით, მარლით. სა-  
ხელმწიფოს ჰპარავს და ჰყიდის მიამისხლად. ხო,  
რატომ გაქვთ თქვენ გვეთი დატბავული სახე?  
თქვენ ბავშვები გყავთ?

— მყავს,—უპასუხა დედაკაცმა.  
— ერთი?  
— არა, სამი?  
— კმარი?

— კმარი მომიკლეს იუდენიჩთან ბრძოლის დროს.  
— დედაკაცს ცრემლები გადმოუგორდა.

— მერე დარით ცხოვრობთ?—ჰკითხა ძერქინსკიმ.  
— ვერცხვა, ავადმყოფებს ვუვლი.

— ძმა არ გეხმარებოდა?  
— არა, ის ჩვენ ტუნწი გყავს, მშვიდ ბავშვებს  
ლუკმას არ მოუტენხავდა. მაგრამ ძმა არის მიანიც.  
ერთი სისხლის და ხორცისანი ვართ. ერთად ვიზ-  
რდებოდით.

ძერქინსკის დალონება შეეტყო. ერთხანს ჩუმად იყო.

— წაიყვანეთ ეს მოქალაქე სახლში ჩემი მანქა-  
ნით. გასცა ვანკარკულბა მან.

რამდენიმე წუთის შემდეგ მომხდარი ამბით შე-  
მკრთალი და გახარებული დედაკაცი მოკრძალებით  
ჩაჯდა საგანგებო კომისიის თავმჯდომარის ახალ,  
გაპრიალბებულ მანქანაში და გაუბედავად გაუწოდა  
ხელი წითელარმიელს, რომელმაც რაღაცა შეკე-  
რა მიაწოდა და დაუბატა: ამხანაგ ძერქინსკისაგან  
არისო.

სახლში მისვლისას დედაკაცმა საჩქაროდ გახსნა  
შეკვრა, რომელშიაც მოზრდილი ნაქერი შავი გასი-  
პული პური, ექვსი ვაშლი და ერთი სელოტკა  
აღმოჩნდა.

გახარებული ბავშვები ხარბად კმეჩავენენ ვაშ-  
ლებსა და შავ პურს. დედა კი, ცრემლების ღვრით  
ანჭარებული ლაპარაკობდა; უამბობდა მეზობლებს  
რაც ვადახდა.

სწორედ იმ დროს, საგანგებო კომისიის თავ-  
მჯდომარე—ფელიქს ძერქინსკი თავის სახლში ბრუნ-  
დებოდა ავადმყოფ შვილიან. ხელში მას შეკვრა  
აღარ ეჭირა, მხოლოდ ჯიბეში ეწყო წყვილი ჩამქ-  
ნარი ვაშლი საკუთარი შვილისათვის შემონახული.

\* \* \*  
ქუჩები სასე იყო უბატონო ბავშვებით, დამ-  
შული ბავშვებით. მათ სკორდებოდათ ისეთი: მისი  
ველი აღამიანი, როგორც ძერქინსკი იყავს.

\* \* \*  
— ერთხელ, ძერქინსკი, გვიან ბრუნდებო-  
და სამუშაოდან სახლში. ცივი ღამე იყო. ნახე-  
რად დადარეულ შენობასთან ხალხი შერგოვილი-  
ყო. ძერქინსკი მიუახლოვდა ჯგუფს.

— არაია საქმე,—იკითხა მან.  
— აი, ბიჭო, უბატონო, შემძვარაა ორმოში  
და კენესის. აბაღდ ტრეფთაა ავად, უგრძობლად  
წევს, ვერ გამოუყვანიათ,—უბასუხა ვიღაცა დედა-  
კაცმა.

ძერქინსკი მაშინვე წავიდა და რამდენიმე  
წუთის შემდეგ დაბრუნდა ათიოდე წითელარმიე-  
ლით, რომელთაც თან მოიტანეს საკაცე. მოსულბმა  
კედელი გამიანგრიეს, ძერქინსკი ორი წითელარმი-  
ელის თანხლებით ჩავიდა ავადმყოფთან.

ბიჭს ბნელ კუთხეში მიაგნეს. ძერქინსკიმ დაი-  
ჩოქა, რომ კარგად დაენახა ავადმყოფი. ბიჭი ძლიეს-  
და სუნთქავდა.

— ვითაგვებს დაუკენიანთ,—ყრუდ სთქვა ძერ-  
ქინსკიმ—გამინათეთ, მე მას გავიყვან.

მან ხელში აიყვანა ავადმყოფი და მზრუნველი  
სიფრთხილით გამოიყვანა ვარეთ საკაცემდე.

ავადმყოფი საკაცით მიჰყავდათ წითელარმიე-  
ლებს, უკან ძერქინსკი მიყვებოდა, ნაღობიანი თვალე-  
ბით, მშობლიური გულშემატკივრობით.

ძერქინსკი ამ ყოფნაში არც ისე იშვიათად იყო  
სუსხიან ღამის სიბნელებში, წითელი დედაქალაქის  
გარეუბნებში არავითხელ უნახავთ ძერქინსკი. ის  
საკუთარი სიტუაციის განწირვით აგრკოვბდა  
უბატონო ბავშვებს და გზავნიდა ბოლშევის უბატ-  
ონო ბავშვთა კოლონაში, რომელიც პირველად  
იმ პერიოდში ვლადიმერ ილიჩის მითითებით თვით  
მანვე დააარსა.

მაშ, განა დაუმსახურებლად დაარქვეს ძერქინ-  
სკის მისმა თანამშრომელმა ჩეკისტებმა ყველას მამა?  
და განა, მართალს არ სწერდა ფელიქსი თავის დას  
აღლონას 1902 წელს გადასახლებიდან:

— „არ ვიცი, რატომ მიყვარს მე ბავშვები ასე,  
როგორც არავინ სხვა... მე ვერასოდეს ვერ შევძლე-  
ბდი ასევე მყვარებოდა ქალი, როგორც ისინი მი-  
ყვარს, და მე ვფიქრობ, რომ ს აკუთთ არ ბავშვებ-  
საც ვერ შევიყვარებდი უფრო მეტად, ვიდრე  
არასაკუთართ... ხშირად, ძალიან ხშირად გგონია,  
რომ თითქმის დედასაც არ უყვარს ასე მხურვალედ,  
როგორც მე“...

აი, ეს მისი სიტყვები, და აი, მისი საქმე.  
ძერქინსკის თავისი მოვლეობის შესრულების  
დღიდან დღიდან საკემზრო საგანგებო კომისიის  
შექმნისა, სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე არ დაიფ-  
ყებია ბავშვები და არამცთუ არ დაიფყებია, არა-  
მედ, მის ისინი მართლაც უფრო მხურვალედ  
უყვარდა, ვიდრე დედებს შეუძლიათ უყვარდეთ  
საკუთარი შვილები.



# ყბანკი და მფრინავი

ჩემს ძვირფას მფრინავ ამხანაგს  
ვეტყვი: „დიდი ვარ ახლა მე!  
ნუ გიმიმს ჩემი წაყვანა,  
შკვე ვფრენ ძილში მე ღამე!

დღეს დეღამ მითხრა, შვიდი წლის  
ვყოფილვარ, კიდევ მეტისა,  
იქნებ ცოტაა ეგ შენთვის,  
ჩემთვის კი — დროა ფრენისა.

საბავშვო ბაღი მომწყინდა,  
არც სახლში ჯღომა მახარებს,  
მინდა ვიფრინო, შორიდან  
შევხედო ერთი სხვა მხარეს.

მომეც, მფრინავო, შეძლება,  
ენახო ქვეყნები, ხალხიცა,  
მთვარისვან ღამის თენება,  
ტყეში ბაჯბაჯი დათვისა.

გაგებდავ ვარსკვლავთ ცისაკენ,  
დღისით რომ არსად ნახულან,  
მდინარეთ დენას ზღვისაკენ  
ნიადავ ზამთარ-ზაფხულა.

თუნდ ერთხელ მაინც ვნახავ ზღვას,  
შეგებდავ მასზე მეც გემსა,  
ვიფრენ, სულ ვიფრენ შორს, მაღლა,  
მივალწევ ასე თვით კრემლსა.

— დილა მშვიდობის! — დავგრგვინო  
მთელის ძაღლონით მაღლიდან:  
— სალამი, ჩვენო სტალინო!  
მოკითხვა თვითმფრინავიდან!

ენახო სხვა მხარე-მიდამო,  
სულ წინ და მაღლა მივქროდე  
თან წამოყვანე, მფრინავო,  
ზრუნვით არ დაგდლი, იცოდე!“



თარგმანი ბელორუსულიდან იანკაჰანიხა.

# ნათელა აგარაკს ესვრება

დღეს ნათელა ცემს ისტუმრა,  
ამ აგარაკს ყველგან კებულს,  
და ღიმილი მოაფინა  
აქ ყველაფერს გამდიდრებულს.

დილა არის მომზიბლავი  
და ბუნებაც ხარობს შეებით,  
ხის წვერზე კი სტვენენ, სტვენენ  
მოფრენილი ჩიტუნები.

აქ ნაძენარი ისე ხარობს,  
ისე ელავს ისე, ისე,  
როგორც სხივის სიცელქე და  
როგორც ნამის სიხალისე.

აქ მუდამდღე მზე იცინის,  
არ ჩანს წვიმა, არ ჩანს ქარი,  
ეს ბუნება ჩვენი არის,  
დიდ სტალინის ნაწუქარი.

## ლუკმაკუარისთვის

### აი, როგორ მსოვრობენ სენსაციურ ამერიკაში ბავშვები!

შენრი დიკენსონი თოთხმეტი წლისაა. ოჯახში ხუთ და-ძმას შორის ის არის უფროსი. მამა მისი მუშაობს საფეიქრო ფაბრიკაში. უკანასკნელ წელიწადს ორჯერ შეუმცირეს ხელფასი. ოჯახს არ შეუძლია იცხოვროს მამის ანაღებით. შენრი იძულებული შეიქნა მიეტოვებინა სკოლა და წასულიყო სამუშაოდ იმავე ფაბრიკაში, რომელშიაც მუშაობს მამა მისი.



მუშაობა დილის 5 საათზე იწყება. ფაბრიკა დაშორებულია სახლიდან, და შენრი მამასთან ერთად ღამის სამ საათზე დგება, რომ სამუშაოზე არ დაიგვიანოს.

რვა საათის განმავლობაში ათრებს შენრი გრძელ ყუთიან რკინის გორგოლას. ის ეწიდება საქსოვ საამქროში ძაფდახვეულ მასსრებს ჯა შემდეგ უკანვე მიაქვს ცალიერი მასრები ხართავ საამქროში. ამ ფაბრიკაში კიდეც ბევრი თოთხმეტწლიანი ბიჭი და გოგონა მუშაობს.

ჯენი ბრაუნი 15 წლისაა. მას სუსტი ჯანმრთელობა აქვს, და ექიმმა უთხრა, რომ თუ ის იმუშავებს ფაბრიკაში, დიღანს ვერ იცოცხლებს. მაგრამ მამის ხელფასი არ ყოფნით, და ჯენიმ დაიწყო მუშაობა. ის დილის 5 საათზე დგება, ხელდახელ შენაყრდება და მირბის ფაბრიკისაკენ. მანძილი დიდი აქვს გასავლელი—ხუთი კილომეტრი.

ჯენი მამაკაცის თეთრფულზე ბლანდს აცლის. თორმეტწევით თეთრფულში ის 5-6 ცენტს (25—30 კაპიკს) ღებულობს. როცა მორჩება ხოლმე ერთ თორმეტწევითულზე ბლანდის გამოცლას, ეს მძიმე ტვირთი მეზობელ ოთახში გადააქვს. ამ მძიმე შრომის გამო მას შუამუშაობისას ხელები ტკივილს უწყებს, ხშირად ხელიდან უტკვივდება თეთრფული, უხდება მისი ხელახლა აკრეფა, დალაგება და ბოხჩად შეკვრა. დღის ბოლოს კი თავბრუსხმის, ხელფეხი აღარ ემორჩილება.



ამერიკის ქალაქების ქუჩებზე მუდამ გამალებით დარბიან ბავშვები— გაზეთების გამყიდველები და ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან:

— აი, ახალი გაზეთი! აი, უკანასკნელი ახალი ამბები!  
ეს ბავშვები 8, 10 და 12 წლისანი არიან. ცუდად აცვიათ, ისინი ყოველგვარ ამინდში, სკოლიდან პირდაპირ რედაქციებისაკენ მიჰქრიან და დგებიან რიგებში, რომ მიიღონ მძიმე შეკვრა გაზეთებისა. მიღების უმალ ისინი იწყებენ თავიანთ დოღს ქუჩებში. და ეს გრძელდება მანამ, სანამ სულ არ გამაყლიან ყველა გაზეთს.



შინ დაბრუნებისას ხელდახელ ჰამენ ვახშამს და იძინებენ. როდისღა ისწავლონ გაკვეთილები, იკითხონ, ითამაშონ, ან დაისვენონ ამ საბრალო ბავშვებმა?

„პ. პ.“



## დავით შაბათაძე

მტკვრის მარცხენა ნაპირს კრიალით მიადგა ბორანი. ყმაწვილები გადმობტნენ და სირბილით შეუყენენ ბურჭებიან აღმართს. მზე ჩაიდოდა.

გავრინდი, შავო მერცხალა,  
დაჰყე ალაზნის პირსაო.

მიიმღვროდნენ პატარები. მტკვრის გაღმა მოოქრული საყდრის გუმბათები თვალისმომკრულად ბრწყინავდნენ. მრუდე, უსწორმასწორო სოფლის შუკბეში ბინდი წყებოდა. ქიხებიდან ამოსული მოლოურჯო ბოლი მემართებოდა კრიალა ცისკენ. მარჯვნივ და მარცხნივ შემოკრილ მთებს მწიფე ქლიავის ფერი დასდებოდა.

ყმაწვილები სუნთქვაზე შეგებულნი შეუდგნენ მალ-ლობს. კარგა შორს მტკვრის მარცხენა ნაპირზე ციხის შავი ქონგურები გამოჩნდა თავზე ნისლ-მობეფული.

— შავლეგ!— მოულოდნელად უთხრა უმცროსმა მოზრდილს, — აი ქვემოთ, ხეობაში, უტეც ირანელი რომ გამოჩნდეს, რას იზამ?!

მოზრდილმა გაიცინა, პატარას მხრებზე ხელი ვაჟაკურად დაჰკრა და მხიარულად მიუგო:

— არ მეგონა, მხდალი ყოფილხარ პაპუნა; ყმაწვილი გამოიმწყვედა იციანოდა, — ირანელი კი არა, თუნდაც შაპი ან ხონთქარი შეგხვდეს, ზურგი არ უნდა აჩვენო მტერს!

ციხეზე მიმავალი ბილიკი ვერო იყო, პაპუნა უკან მიჰყებოდა ძმას. უჟაცრიელი მიდამო იყო. ჩამიჩუმი არ ისმოდა ირგვლივ. ქვემოთ მტკვარი ავობდა მხოლოდ. კუდამოძებული ყურში მიბრბოდა წინ. ხანდახან ცხვირს მალლა აიღებდა, ჰაერს დაყნოსავდა, ბურჭებს შემოურბენდა და ისევ გაჩქარებით მიცუნკურებდა დამერიცელ ბილიკზე. პატარები მისაბურობდნენ.

— რამდენჯერ უამბნია პაპა აღოლას, შენც ხომ გინახავს. — ჰყებოდა შავლეგ, — სვეტიცხოვლის გალავანში იციან მოხუცმა საუბარი. ერთხელ ლაშქარში ხმა გაავარდა — თურმე მეფე მოჰქვასო. ნაწილი ჯარისა გაფანტული იყო, მტრის რომელიღაც მთავარსარდალამ ამ დროს იაღლუჯის მთებიდან გადმოეშვა თეთრი დროშით, საყვირების ცემით და ძახილით: „შაპ გელდი, შაპ გელდი!“ ე. ი. შაპი მოდისო. ამ დროს ქართველობის დაბნეულს ლაშქარში, რომელიღაც მუხარაღჩაძემული, ცხენზე ამხედრებული ყმაწვილი შეიჭრა თურმე:

— მამყეთი, გმირნო, მეფე ცოცხალია, სიკვდილი შაპსაო! შუბოსანი ვაჟაკები გაგიტებული ცხენ-

ბით მიეტვივნენ მტერს. შეიჭნა ლახტის ცემა, შუბის ძგერება, ხმლის კვითა, აბჯრის ლეწვის ხმა. დილის ჰაერში ისმოდა ცხენების ქიხვინი, აქლემების ბღაეილი და იარაღის ჩხარაჩხური.

ამ დროს, გადამწყვეტ წუთში, ყმაწვილმა პირიდან გადაიძრო მუხარადი და ეჩვენა ირანელთა ლაშქარს. საოცარი ლამაზი იყო თურმე იგი, ჯერ კიდევ უწვერულავაშო. ხმაღდალუჯული, გულაბორგებული ქართველობა გაჟაკურად დაუხვდა მტერს, რომელიც იდგა თვალუწრთომი. გმირს მხარს უმშენებდნენ ცხრა ძმანი ჩოლოყაშვილი, მანუჩარი ათაბაგი, პაპუნა ვაშაყაშვილი, მათია ქველიძე. ხელშუბიანი გმირნი მტრის რაზმებს ფრწყავდნენ. ირანელთა ურდოები შერკა. ქართველთა ლაშქარმა გატეხილ ხიდამის მისიდა მტერს. მერე და ვინ იყო ნი გმირი, — პაპა ჯავარას დეიდა, მუხარადგადაცმული, ცხენზე ამხედრებული ცოქალი მეც ბევრჯერ მინახავსო, — რამდენჯერ უთქვამს პაპა აღოლას! შენ კი მეციხეები, ირანელი რომ გამოჩნდეს, რას იზამო!

დაამთავრა ყმაწვილმა, ძმას შეხედა და მოკლე ძვლისტარიან ხანჯალს ხელი შეავლო.

— არა, შავლეგ, მე ისე გითხარი! — იმართლა თავი პატარამ და კალათი ძირს დადო.

— მოველით!

— დასტენე, — თქვა პატარამ.

მღუმარებდა ციხე-სიმაგრე. უჟაცრიელი გვეგნებოდა. კბილოვანი შავი ქონგურები, შეტრუსულ-შერუჯული, შავად გამოიყურებოდნენ.

მზე ჩასულიყო, ცისდასავლი წოილად ღლოდა.

— მამა! — დიამხა პაპუნამ. მთებმა ყრულ გაიმეორეს ძახილი. შავლეგ ციხის გალაუნის კარგის მიუახლოვდა, დაუსტვინა, ზემოთ, სათოფურებთან, თითქო ვიღაც შეინძრა. ბავშვები მღუმარედ შეს-ქვროდნენ გალაუნის ზღორბლს. ქვევით სადღაც ღორი ჩამოშალა, ახმაურდა ქვიშა და აახმაურა ხვეი, ძმები შეკრთნენ.

— მამაა!... — ისევ განმეორდა პაპუნას სუსტი ძახილი.

შემდეგ მძიმედ გაიხმაურა ალაყაფის რკინის ურდულმა. შავგვერემანმა, შავვერულავაშა მეციხოვნემ კალათი ჩამოართვა შავლეგს, შიგ ჩაიხედა და წყნარად თქვა:

— რად დავგვიანეთუ?

— დედას ვაშმის მომზადება დაუფციანდა. მტკვარზე კი ბორანი დაზიანდა და ვუცადეთ!

მეციხოვნე ალაყაფის წინ ლოღვე ჩამოჯდა, კალათი დიდიოდ და იკითხა:

— შველგე, სოფელში რაა ახალი?!

— ამ დილით ბაბუა როსებ ცალქალამანიძე გარდაიცვალა, გულის დამბლა მოუყიდაოდ, ამბობენ მისიანებო.

— საწყალი მოხუცი! — დაფიქრდა მეციხოვნე, ფეხზე წამოიფარა და ყმაწვილებს უთხრა:

— წადით, ჩქარა იარეთ, თორემ სოფლამდე ღამე მოგეწევით!

— საღდაც კვლავ ღორდი ჩამოიშალა და ისევ ახმაურდა ხეგმი.

— ხელო საქმელს ნუ მოიტანთ, პეპია შემცვლის, მე თავად ამოვალ სოფელში!

— კარგი!

მეციხოვნე გაღაღანში შევიდა და პატარები გამობრუნდნენ. ამ დროს ალაყაფის კარებთან ავი სულელებივით ვილაც ორი უცნობი გამოჩნდა. შეშინებული ბაბუნა მოტრიალდა და მამას შეჭყვირა:

— მამა, გვიშველი, ირანელები.


შველგე შეკრთა. მეციხოვნე კარები გააღო.

— შემოდით გალაყანში!

ბავშვებმა გაღაღანში რომ შეიბინეს, მეციხოვნე კარები მიხურა და მძიმე ურდულს დასწვდა. უცნობნი ალაყაფის კარებს აწვებოდნენ, უბრაბუნებდნენ და რალაცას ბურტყუნებდნენ გაუფებრად. მეციხოვნე მთელი ძალით აწვებოდა კარებს. შველგე

და პატარა ბაბუნაც შევლოდნენ მამას. ირანელები როდი ანებებდნენ თავს, ძალონეს არ ზოგავდნენ. ვერ გაუძლო მეციხოვნე. კარებმა მძიმედ გაიჭრიალა. შერტევაზე გადმოსულმა მტრებმა შუბი ატაკეს მეციხოვნეს. ვაჟკაცი მოკრილ ხესავით დაეცა ძირს და მძიმე კენესა ამოხდა. საცოდავით ღრიალებდა პატარა ბაბუნა და სისხლში მოსვრილი მამას ეხვეოდა.

შველგე გაიქცა. ციხის ზედა სართულისაკენ მიჰყვებოდა იგი ხის კიბეებს, ირანელები მისდევდნენ, თვითუფლი სართლის აფლისას კარებს ხურავდა შველგე და ამავგრებდა. ირანელები მთელი ძალით აწვებოდნენ და მიიწვედნენ წინ. იცოდა მტერმა, ამ შემთხვევაში პატარა ბიჭს იმდენი შეეძლო გაეკეთებინა, რამდენიც თუნდაც ნაცოდ მეციხოვნეს. ბოლო სართულის კარი რომ მიხურა ბიჭმა, სათოფურებიდან შემოკრილი მკრთაოდ შუქზე გროვად დაყრილი კაქიანი თოფები, თოფის წამლის კასრები და რალაც ჩახერგოლი ნიეთები გაარჩია.



ოფლში იწურებოდა შველგე. ვასამავრებლად კარებს აყრიდა თოფებს, აწყობდა მძიმე კასრებს და რაც კი მოხედებოდა ხელთ. კარგა ხანს წვედობდადნენ კარებს იქით, ხის დაგრებილ კიბეებზე, ზედა სართულები. ბოლოს ხმაური მიწყდა.

ყმაწვილმა აირბინა ციხის თავზე. უკვე ხშირი ბინდი იწვა მტკვრის ხეობაში. საღდაც, აქა-იქ ქართლის ველებზე ვაფანტულ სოფლებში, ბეთუბევ-და კვიარის მკრთალი სინათლე. დასავლეთიდან აშლიოყვენ შავი საავდრო ღრუბლები. უკვე ბნელოდა.

ციხის სანიშნოს მიუახლოვდა შველგე. უხვად ეყარა კუბრგადანსხული ხმელი წალამი. მამის საღომიდან კვენ-აბედი გამოიტანა ყმაწვილმა. მზა ხმელ წალამს შეუქეთა და გაკრა. ნელმა ნიაფმა გააძლიერა ცეცხლი. წავიდა ცისკენ კვამლის სტელი, მოშავო სვეტი. კუნაპეტ ჩალუსკუმებულ ღამეში აბრიალდა ციხეზე ცეცხლის ჩირაღდანი. კარგა ხანს იდგა ციხის ქონგურებთან მდუმარე შველგე და ვასცქეროდა შორს, ძლიერ შორს.

— გამოჩნდა! — წაიჩურჩულა ბოლოს მან.

მართლაც, შორს თმოგვის ციხეზედაც აბრიალდა ცეცხლი, როგორც ხარიოფალა ცაზე შემოდგომის ნათელ ღამეში.

— გამოჩნდა! — გაიმეორა ყმაწვილმა და გაიფიქრა: ხელო ციხისთავები, ხევისთავები, გზობები და მამასახლისები ამცნობენ ხალხს მტრის მოახლოებასო.

კარგად დააკვირდა, თვალშუფდამ ღამის სიბნელეში ბრიალებდა თმოგვის ციხე. საღდაც კიდევ გამოჩნდა შორს ციციანთელას მავგარი შუქი, შერე იზარდა. მალე ღარიისკარის და ლარგთისის ციხეებზე გამოჩნდა ცეცხლი. ჩირაღდნებივით ბრიალებდნენ ამ კუნაპეტ უმთავრო ღამეში ციხეებზე სანიშნო შუქურები და ამცნობდნენ ქვეყანას ვერავი მტრის მოახლოებას.

სამშობლოს სიყვარულით აღზუნებულმა გმირებმა ქართლ — კახეთი დაიხსნეს ირანელთა მონობიდან. სიკვდილს შემთხვევით გადარჩენილი შაჰი ვაცეცხლებული ბორავდა თერაშო.

ქართველთა ლაშქარი გამარჯვებას ზეიმობდა. დიდუბეში გამართულ ჯარების აღლუმს თვით

მეფე დაესწრო. ელვარებდნენ აბრეშუმის ალისფერადი დროშები, გუფუნებდა ლაშქრული სიმღერები:

ლაშქარს წასვლა მას უხარის,  
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო.

პირველს ამბობდნენ შუბოსნები, ხოლო ბანს  
და მოახილს მხედრები აფუგუნებდნენ.

მეფემ სიყვარულით სათითაოდ დაკოცნა გმირები. მორიდებულნი, პატვისსცემით მიდიოდნენ მასთან რჩეული ვაჟკაცნი.

ბოლოს მეფემ მანუჩარ ათაბაგს უბრძანა:

— კლდეკარის მეციხოვნის ვაჟი <sup>შავლევ</sup> შვიკვარეთო.

გამხდარი, მშენაკრავი ყმაწვილი <sup>შავლევ</sup> შვიკვარეთო მეფეს. მბრძანებელმა აღაპყრო ხელს <sup>შავლევ</sup> შვიკვარეთო დალაღყო:

— კურთხეულ იყოს შენი მშობელი, ჩემო შვილო! მუდამ გწყალობდეს განგება! კურთხეულ იყოს შენი მარჯვენა, მარჯვენა ყმაწვილი გმირისა! ბოლოს მოურავს უბრძანა მეფემ დაასაჩუქრეთ ყმაწვილიო, ხოლო სასახლის ოქრომუქედელს უთხრა, მეგვიდრისეულ პატარობის ხმაღს ოქროთი ტარზე ამოკვეთეთ სახელი: „შავლევ“.

## თამარ აბაშვიძე

# ჭირველი საბავშვო რკინიგზა



ეს ამბავი მაინცდამაინც ძველი არ არის. სულ ხუთი წლის ამბავია. ზაფხულის ერთ მშვენიერ ღღეს შერკებელიყენენ პატარა ბავშვები და მხიარულად თამაშობდნენ. იყო ჟრიამული, სიცილ-კისკისი.

უტკებ ბავშვებმა ხმაური შეწყვიტეს. გაჩერდნენ.

ეტყობოდათ, ყველა სათამაშო მოსწყენოდათ და ახალ გასართობზე ეჭირებდნენ.

— ბავშვებო, ბავშვებო! წამოიძახა ცოტახნის მერე ლიზა სოკოლსკაიამ, — იცით, რა ვითამაშოთ, იცით, რა? აი, ისა... მატარებლობა.

— კაია, კაი, ვითამაშოთ! — აჟრიამულდნენ ბავშვები და ლიზასთან მიცვიდნენ. ლიზა დადგა წინ და ამის შემდეგ სხვები ჩამუკრივდნენ.

— აი რა, — დაიწყო ისევ გოგონამ, — მე ორთქლმავალი ვიქნები, თქვენ კი ვავანები იყავით.

და ის იყო უნდა დაეწყო ლიზას ორთქლმავლობა, რომ მუკრივიდან ვიტია სოკოლსკი გამოხტა და წინ აეტუზა გოგონას.

— ორთქლმავალი მე უნდა ვიყო, შენ ვავანო იყავი, — წყნარად უთხრა ვიტამ.

— რატომ შენ?

— უფრო დამშვენდება.

ესენი, ალბათ, კიდევ კახანს წალაპარაკებოდნენ, რომ სხვა ბავშვებს არ გავხავებინათ. გადაწყდა: ვი-

ტი უნდა ყოფილიყო ორთქლმავალი. ვაჟმა რაღაც მედიდური გამომეტყველება მიიღო, თავი წინ წასწია და ჯერ ნელი ხმით დაიწყო ორთქლმავალივით:

— ქშ... ქშ... ქშ... ქშ...

მერე ხმას უფრო აუწია, ადგილიდანაც დაიძრა და გაიქცა. მას მიჰყვნენ ვავანებიც, ესეიგი, სხვა ბავშვებიც.

გაირბინეს რამდენიმე მანძილი. ვიტამ ნაბიჯს მოუკლო და ორთქლმავალივით დაიკვილა:

უუუ... უუ...

ეს იმას ნიშნავდა, რომ სადგურს მიუახლოვდნენ... იქ ცოტა დაიხვენეს და კვლავ განავრძეს გზა.

დარბოდნენ ასე ეზოში, სადგურიდან სადგურამდის, დარბოდნენ, ვიდრე სულ არ დაიქანცნენ.

— უჰ, რაირი დავიღალე! ეგ რა მატარებლობაა! — წამოიბუზღუნა ვიტამ.

— რა კარგი იქნებოდა, რომ გვეკონდეს პატარა მატარებელი, სულ პაწია ვავანებით, პაწია ორთქლმავლით: ჩავჯდებოდით შიგ და ჰერი!

შესალამოვდა. ბავშვებმა თამაში შეწყვიტეს, ხელპირი დაბანეს, ტანისამოსი გამოიცვალეს და მოზარდების თეატრისაკენ წავიდნენ. იმ საღამოს თეატრში ჩვეულებრივად კარგი წარმოდგენა გადიოდა ნორჩათვის. როცა ჩვენი ნაცნობი ბავშვებიც მივიდნენ, ფარდა მალე აიხდა და სცენა განათდა.



ახლადმოსულებმა თავი დახარბეს უხერხულობა იგრძნეს, შერცხნათ: ორორი სუსტი ნიშანი ჰქონდათ. აბა, რა ეთქვოდათ? უკან გაქრულნი გავწილებულები. გულში კი გადასწყვიტეს: მალე გამოვსწორდებით და რკინისგზაზე მაინც მივაღწეოთ.

რა მშვენიერი წარმოდგენა დაიწყო! პატარებმა ყურები ცქიტეს და სულ გადაივიწყეს მატარებლობაზე ფიქრი. მაგრამ აი, ოციოდე წუთში დაეშვა ფარდა, აკაშაშდა დარბაზი. მოზარდი მაცურებლები წამოიჭრნენ და ფოიესკენ წააცუნტულდნენ. გაიქცნენ ჩვენი ნაცნობი ბავშვებიც. მათ იქ ისევ გაიხსენეს მატარებლობა, ისევ დაიწყეს ლაპარაკი: „პაწია ორთქლმავალი რომ გვქონდეს პატარა ვაგონებით...“

მათ საუბარს ყური მოჰკრეს თეატრის ხელმძღვანელებმა, დაინტერესდნენ ბავშვების სურვილით. მალე დაასკვნეს, რომ ეს შესანიშნავი წაილი, შესანიშნავი ნატვრა იყო.

ყველამ მოიწონა ეს ინიციატივა. გადაწყდა დაწყებულიყო პირველი საბავშვო რკინისგზის მშენებლობა აქ. რესპუბლიკის დედაქალაქში, სერგო ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

გამოიყო მოედანი. მოიტანეს რკინა, ხრეში, განძელები, ლურსმანი... უჩვეულოდ ახმაურდა პარკის კუთხე, გაჩაღდა მშენებლობა, ფიცხელი, შეუნელებელი მშენებლობა. თხრიდნენ მიწას, ყრიდნენ ხრეშს, აფენდნენ განძელებს, აგებდნენ რკინისგზას...

მერე ვინ იყვნენ მშენებლები? სულ პატარა ბიჭები, პატარა გოგონები. გაიკეთა რა, ნორჩები აგებენ რკინისგზას, ყველა მხრიდან იწყეს დენა ბავშვებმა მშენებლობაზე: ყველას უნდოდა მონაწილეობა მიეღო და თავისი წვლილი შეეტანა ამ სასიხარულო საქმეში. მაგრამ ბევრ მათგანს არ ღებულობდნენ მშენებლობაზე: ზოგს იმიტომ, რომ ძალიან პატარა იყო, ზოგს იმიტომ, რომ ცუდად სწავლობდა სკოლაში.

ერთხელ იქ ორი ბავშვი მივიდა.  
— რა გინდათ?— შეეკითხნენ მათ.  
— გვინდა თქვენთან ვიმუშაოთ.  
— ფრიადზე სწავლობთ? გვაჩვენეთ ბილეთები.

მართლაც, ის-ის იყო დასასრულს უახლოვდებოდა რკინისგზის მშენებლობა, რომ ის ორი ბავშვი კვლავ გამოჩნდა. ახლა მათ სუსტების მაგიერ უკვე კარგები ჩამოწყობებინათ და ამიტომ გაბედულად მოსულიყვნენ მშენებლობაზე. ამჯერად რაღა ეთქვოდათ მშენებლობის ხელმძღვანელებს. მიიღეს ის ორი ბავშვიც, ის ორი ბავშვიც ჩაება საერთო სასიხარულო ფერხულში.

სწრაფად აგებდნენ რკინისგზას, აშენებდნენ პაწია ვაგონებს, აკეთებდნენ პაწია ორთქლმავალს... ვაკეზე გაწოლილი რკინის ორი პარალელური ხაზი უფრო და უფრო გრძელდებოდა და იკლავებოდა. ხაზების ერთ თავში ორთქლმავალი და ვაგონები დადგეს. ახლა ორთქლმავალს და ვაგონებს ღებავდნენ. მხოლოდ ესღა დარჩენილიყო, სხვა საქმე თითქმის სულ მოეთავებინათ.

ივლისის დასასრულს ყველაფერი უკვე მზად იყო. ოცდაათისათვის დაინიშნა პირველი საბავშვო რკინისგზის გახსნა.

რარიც ღელავდნენ მაშინ პატარა მშენებლები, რა უჩვეულოდ უცემდათ გული აღნიშნული დღის მოლოდინში! მშენებლობის პროცესში სწავლობდნენ ისინი რკინისგზაზე მუშაობასაც, ვინ მეშინქანე უნდა ყოფილიყო, ვინ მეისრე, ვინ გამცლებელი, ვინ სადგურის უფროსი...

და აი გათენდა ზაფხულის მზიანი დილა. აღმოსავლეთიდან მოკაშკაშე დიდი მნათობი ამოვიდა. გაიღვიძა მიდამომ, უჩვეულოდ გაიღვიძა სერგო ორჯონიკიძის სახელობის პარკის ერთმა კუთხემაც. მზიარულ ბავშვებს უკვე მოეყარათ თავი. აქ ყველაფერს ფარავდა მათი ყიფინა.

საერთო ძროხაულში საყვირის ხმა გაისმა. ალბათ, სცა იყო, რკინისგზას უნდა დაეწყო მუშაობა. ბავშვებმა თავთავიანთი ადგილები დაიპირეს: ვი-ტია სოკოლსკი ორთქლმავალში ჩაჯდა, ლიზა, სოკოლსკია— ერთ ვაგონში, პაპიტაშვილი მეორეში, სულ პატარა ბიჭი ოლეგ ლულოვი ისრებთან წავიდა. სხვა ბავშვებმა და ტეტუმრებმა, როგორც მგზავრებმა, ადგილები დაიკავეს ვაგონებში.

— უუუ... უუ!— აკივლდა ორთქლმავალი. მემანქანე ვიტია სოკოლსკი, გამოცდილი ოსტატივით, ჯერ ნელა, შეუმჩინებლად დაძრა მატარებელი, მე-

რე სვლას უმეტა და... რელსებზე არახრახდა ვაგონები. ამუშავდა პირველი საბაგეშვო მატარებელი.

ეს იყო 1935 წელს, ოცდაათ ივლისს.

იმ დღეს სულ შეუსვენებელი მუშაობდნენ ნორჩი რკინისგზელები. დაჰყავდათ ვაგონები სადგურიდან სადგურამდის, „პიონერსა“ და „სასინარულოს“ შორის, გადაჰყავდათ ახალახალი მგზავრები—პატარა ბავშვები, მოზრდილი, იშვიათი სანახაობით დაინტერესებული მოხუცებიც კი.

მაღე მთელს ჩვენს თვალუწვდენელ სამშობლოში გახდა ცნობილი, რომ თბილისელმა მოსწავლეებმა რკინისგზა აიშენეს. გაზეთებმა და ჟურნალებმა დაწერეს ამის შესახებ, რადიომ ყველგან გადასცა ცნობები.

დიდი სტალინის სახელოვნამა თანამებრძოლმა ლაზარე მოსეს-ძე კავანოვიჩმა ნორჩი რკინისგზელები კრემლში მიიწვია.

ვერ წარმოიდგენთ, რა რიგ იყვნენ ალტაცებული პატარები ამით. სულ დღეადნენ საყვარელი ადამიანის შეხედრამდის. მაგრამ როცა ისინი ლაზარე მოსეს-ძემ ჩვეულებრივი თავაზიანობითა და სიყვარულით მიიღო, ბავშვები დაწყნარდნენ. გაიმართა მეგობრული საუბარი. ნორჩმა რკინისგზელებმა ილაპარაკეს თავიანთი მუშაობის შესახებ. ამხანაგმა კავანოვიჩმა ძალიან მოიწონა მათი ნაბიჯი და შეაქო პატარები. მერე მხიარულ ბავშვებთან ერთად სურათი გადაიღო.

დიდი სამშობლოს დედაქალაქიდან დაბრუნებულმა პატარებმა უფრო მეტი ხალისით განაგრძეს მუშაობა. ლაზარე მოსეს-ძე მათ არ ივიწყებდა, ყოველთვის უგზავნიდა საჩუქრებს, რჩევა-დარიგებებს. რკინისგზა კარვად და შეუფერხებლად განაგრძობდა მუშაობას.

გავიდა რამდენიმე ხანი. ბავშვებმა გადაწყვიტეს გაედიდებინათ ლიანდაგის სიგრძე. ასეც მოიქცნენ.

ძველ ორ სადგურს ერთი ახალი სადგური მიუმატეს, ლიანდაგის სიგრძე ათასორმეტი მეტრამდის გაზარდეს.

ახლა რკინისგზას ხუთი წელი უსრულდება.

ამ ხუთი წლის განმავლობაში აქ ბევრი ბავშვი მუშაობდა. ბევრი მათგანი გაიზარდა, ბევრი მათგანი დაეაქცადა. ვიტიპა სოკოლსკი ახლა მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს, ლიზა სოკოლსკია რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრში მუშაობს.

მაგრამ რკინისგზაზე ნახავთ ისეთ ბავშვებსაც რომლებიც აქ ხუთი წლის წინ მოვიდნენ. აი, მაგალითად, ოლეგ ლულოვი ან სოსო გორიტაშვილი. ისინი სულ პატარები იყვნენ, როცა მოვიდნენ, მუშაობდნენ მეისრებებად, გამცილებლებად, სადგურის უფროსებად... ახლა ოლეგ ლულოვი რკინისგზის ხაზის უფროსია, სოსო გორიტაშვილი, მერვე კლასის მოსწავლე, მისი მოადგილეა.

ხაზზე მეტწილად ახალმოსული ბავშვები არიან. ისინი თან მუშაობენ და თან სწავლობენ, ითვისებენ ტექნიკას. ერთხანს რომ მეისრებებად იქნებიან, მერე გამცილებლებად გადავლენ და ასე სწავლობენ ყველაფერს.

დილით, საღამოთი, ყოველდღე ხმაურია აქ. მისცემენ ნიშანს, დაიძრებება მატარებელი, მირბის, მირახრახტებს. მივა მეორე სადგურში. ცოტას შეისვენებს.

— პა, სადგური „მზიანა“? — ურეკავენ „სამხიარულოდან“ — მატარებელი ამაღამ საათზე გამოდის ჩვენი სადგურიდან,

— გვესმის, ვასაგებია! — უპასუხებენ იქიდან.

კვლავ მისცემენ ნიშანს, კვლავ იკვილებს ორთქლმავალი. კვლავ დაიძრება მატარებელი... გაიქცევა და ჩვეულებრივად არახრახდება...





# კარსკვლავის შვილი

ცნობილი ინგლისელი მწერალი ოსკარ ჯაილი, წარმოშობით ირლანდიელი, დაიბადა ქ. დუბლინში 1856 წელს. მამამისი ვილიამ ჯაილი სახელგანთქმული დოსტაჟარი იყო. მედიცინის სწავლული ახლაც კი იგონებენ იმ სასწაულებს, რომლებსაც ახდენდა ოპერაციათა ეს ხელოვანი. ერთხელ მას მიუჯვანეს მეხუთეული, რომელსაც უხარმაზარი ნენსი თვალში ისე ღრმად ჩასობოდა, რომ ყურწიკ კი არ უჩანდა. მარჯვე ექიმმა თვალთან ელექტრო-მაგნიტი მიუტანა და ლითონის ხიჭვი თვალთან თავისთავად ამოვიდა. ამ ოპერაციამ ისეთი სახელი მოუხვეჭა ვილიამ ჯაილს, რომ მალე ის კარის დოსტაჟარად დანიშნეს და ლორდობაც უწოდეს. მწერლის დედა ხელოვნებისა და პოეზიის დიდი მოყვარული იყო, თავისუფლად თარგმნიდა ბერძნულ-ლათინურიდან და იცოდა სხვა ენებიც. თავისი საკუთარი ლექსები და მოთხრობებიც მრავლად ჰქონდა.

ოჯახის წევრები ოსკარი პატარაობიდანვე უწინაური იყო. ბავშვებთან თამაში არ იზიდავდა, 12 წლის ბიჭს დიდი დაშინაობით გვირა თავი. ძვირფასად და თავისებურად იცავდა: მეტისმეტად უყვარდა სილამაზე. დაძინებულ მათხოვარს, რომელსაც სახლიდან გამოსვლისას ხედივოდა ხოლმე, აღწვთებებში მოჰყავდა მწერალი. ამ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად მათხოვარი თავის მკერავთან წაიყვანა, უკანასკნელი მოდის ტანსაცმელი შეაყვინა და შემდეგ კი სიმეტრიულად დააქუწვინა და ალავ-ალავ დალაქავებინა.

ოქსფორდის უნივერსიტეტის დამოაგრების შემდეგ სალონებისა და სასახლეების მუდმივი სტუმარი იყო. სუფრაზე, ნადიმის დროს უყვარდა ზღაპრების, მოთხრობების, ლეგენდების ამბობა, მშენებლობა ხან აცივებდა და ხან ცხარე ცრემლებს აფრქვევინებდა. კაცობრიობას მისი მსჯავის მოსაუბრე არ ახსოვს, ამბობდნენ. თავის ზღაპრებში კვილებს სილამაზით აჯილდოებს, სილამაზე კი ჯაილდისთვის უმაღლესი ჯილდოა. როდესაც ვარსკვლავის შვილი უჩემბი და უდიერი გახდა, სილამაზე წაერთვა და გამბეზოს დაემსგავსა, ხოლო, თავი გამოსწორდა და კეთილ ბიჭად იქცა, ოსკარ მწვენივაც დაბერუნდა.

ოსკარ ჯაილი, ეს ორიგინალური მწერალი, 1900 წელს გარდაიცვალა.

ერთხელ ორი ღარიბი შვილიმკრელი დიდი ფიქვან-რით შინ ბრუნდებოდა. ზამთრის სუსხიანი ღამე იყო.

დედამიწის და ხის ტოტებს თოვლი სქლად დასდებოდა. გაყინულ ტოტებს, რომლებსაც ისინი გაუფიქვანდნენ ხოლმე, ტაკუნეი გაჰქონდა.

და იმ მაღდგენ მთა ტორენტს, რომელიც ჰაერში უჭრავდა ივდა, რადგან მეფე-ყინვას ეკოცნა მისთვის. ისე ციოდა, რომ ცხოველები და ფრინველებიც კი ვერ გარკვეულყვენენ.

— უჰ! — დაიღმულია მეგლემა და გააქმწულდა ბურქნარში კუდამოქმებული, მართლაც საშინელი ამინდია; მთავრობა რატომ ზომებს არ იღებს?!

— უჰ! უჰ! უჰ! — ყლურტულებდნენ მწვანე კვინტები, — ბებერი მიწა გარდაიცვალა და შეუსურაოთ.

— დედამიწა თხოვდება, ეს მისი საქარწილო სა-მოსელია — წასწურწულეს გვრიტებმა ერთმანეთს. პატარა წითელი ფეხები მთლად დასძრომოდით, მაგრამ მაინც გრძნობდნენ, რომ მათი ვალი იყო რომანტიულად შეეხედით მღვამარეობისათვის.

— ლათაიები! — დაიღმულია მეგლემა. — გეუბნებით, რომ სულ ხელისუფლების ბრალია. თუ არ დამიჯერებთ, შეგქამით.

მეგლი ზედმიწევნით პრაქტიკული გონებისა იყო და არასოდეს გასძნელებია გვარიანი საბაბის გამოხახვა.

— კარგი, ერთი, — თქვა ბრძანდ დაბადებულმა ხეკაქუნამ. — მე თუ მკითხავთ, ატომური თეორიის ოდენიდაც კი არ მაინტერესებს ახსნა-განმარტება; ასეა თუ ისე, ამეამად საშინელი სიცივება.

მართლაც რომ სიცივე იყო. პატარა ციყვები, რომლებიც დიდ ნაძვის ხეში ცხოვრობდნენ, ერთმანეთს ცხვირებს უხახუნებდნენ, რათა თბილად ყოფილიყვენენ. ბაჭები თავის სოროებში მოკუნტულყვენენ და გაართ გამოხედვასაც კი ვერა ბედავდნენ. თუ ვისმეს ჰგვიოდა სიამოვნებას ეს ამინდი, ეს დიდ ულვაშებიანი ბუები იყენენ: ბუმბული მთლად გაშეშებოდათ რთვილით, მაგრამ აინუნშიაც არ ივდებდნენ, დიდ ყვითელ თვალებს აბრიალებდნენ და თან ერთმანეთს გასძახობდნენ:



— ტუუ—ვიიტ, ტუუ, — ვაჭუუ ტუუ—ვიიტ, ტუუ  
— ვაჭუუ რა მომხიბვლელი ამინდი დაგივლიდა!

შეშისმკერდები გზას განაგრძობდნენ, თან გა-  
მალებით ხელებს იორთქლავდნენ და დაქედდნენ  
ფეხსაცმელით ხორხოშვლა თოვლში მიაბატებდნენ.  
ხან ნამქერში ფელოზობდნენ და დგებოდნენ გათეთ-  
რებულები მსგავსად გაფქვილული მუშისქვილეებისა,  
როდესაც დოლაბს საფეხები უყრიან, და ხანაც  
სია ყინულზე, დაგუბებულ წყალს რომ გადაპყვრო-  
და, წაბრტყმანდებოდნენ, ფიჩხის კონა ეფანტე-  
ბოდათ და ხელახლა ასაკერფი და შესაკრაფი უხ-  
დალდათ. ერთხელ ისიც კი გვანათ, რომ გზა და-  
კარგეს და შიშმა შეიპყრა ისინი, რადგან იცოდნენ,  
რომ თოვლი არ ინდობს კაცს, თუ მის მკლავებში დაე-  
ძინა; მაგრამ ჰქონდათ რა იმედი კეთილ წმინდა  
მარტინის, რომელიც ყველა მგზავრს სდარაჯობს,  
დამარუნდნენ უკან და მერის სიფრთხილით განა-  
გრძეს გზა, ბოლოს მიაღწენ ტყის პირს და დაინა-  
ხეს შორს ბარში თავისი სოფლის მძეტუბვი სი-  
ნათლე.

ხიფათისაგან თავის დაღწევამ  
ისინი ისე გაახარა, რომ ხმამაღლა  
ხითხითებდნენ; დედამიწა ვერცხ-  
ლის, ხოლო მთვარე ოქროს ყვა-  
ვილად ეჩვენებოდათ.

რა იციენს, სევდამ შეიპყრა:  
მოავრდნათ თვისა სიღატაკე.

— რა გვახარებს, როცა გბე-  
დავთ, რომ ცხოვრება მდიდრები-  
სათვის არის და არა ჩვენისთანე-  
ბისათვის. გვერჩივნა სიცივეთი ტყე-  
ში დაგზობილიყავით, ან ნადირი  
რამე დაგვეცემოდა და დავებრჩეთ, —  
უთხრა ერთმა მეორეს.

— მართალია, — უპასუხა თანამგზავრმა, — ზოგს  
ბეგერი რგებია და ზოგს ცოტა, უსამართლობას დაა-  
უყვია ქვეყანა, არაფერია განაწილებული თანასწო-  
რად, ვარდა მწუხარებისა.

იმ დროს, როცა ისინი ერთმანეთს თავის სიღა-  
რებს შესწარიოდნენ, უცნაური რამ მოხდა: ზეციდან  
მშვენიერი, ბრწყინვალე ვარსკვლავი ჩამოვარდა,  
ცისკიდურს მოსხლტა და გვერდით ჩაუარა სხვა  
ვარსკვლავთ. შეშისმკერდებს, გაოცებულნი რომ  
უთვალდალბებდნენ, მოეჩვენათ, თითქოს ის დაეცა  
ტოვალბებთან ფარების გვერდით, ქვის ერთი სასარო-  
ლის მოშორებით.

— არიქა, იქ ქოთანია ოქროთი, ამა რომელი  
იპოვის! — შესძახეს ორთვემ, წამოხტნენ და გაიქეცნენ.  
ასე ძლიერი იყო მათში ოქროს წყურვილი. ერთი  
მათგანი უფრო სწრაფად მირბოდა, ამხანავს გაუს-  
წრო, გააკვლია გზა ტირიფებში, გავიდა მეორე  
მხარეს და რას ხედავს? ოქროს რაღაცა გლია თეთრ  
თოვლზე. მსწრაფლ მიაშურა მას, დაინახა და ხე-  
ლეთ შეხვო. ეს იყო წამასახამი ოქროს ქსოვილი-  
სა, საუცხოოდ ნაკეთები ვარსკვლავებით, მოხნად  
გამოკრული. ვახარებულმა შეშისმკერდმა გასძახა  
ამხანავს, ზეციდან ჩამოვარდნილი განძი ვიპოვენი.

როგორც კი ამხანავი მოვიდა, ჩახსდნენ თოვლში  
და გამოსნეს ბოხია, რათა გავყოთ ოქროს მარჯვე  
დახეთ იმედის გაცრუებას! ნასახიც არ უნდა მოხერხე-  
სი, ვერცხლისა თუ რაიმე განძისა, მხოლოდ ქორ-  
ფა ბავშვის ძინია.

— რა იმედი ვაგვიცრუვდა? ბელი არა გვექონია;  
რა ბედენაა ბავშვის პოვნა? მოდი, ეგ აქ დავტო-  
ვით და ჩვენ კი ჩვენ გზას ვავუღვეთ. ხომ ხედავ,  
ღარიბები ვართ, თანაც წვრილშვილნი; განა შე-  
გვიძლია მათი ლუკმა სხვის ვაგუყუოთ? — უთხრა ერთ-  
მა მეორეს.

— ეგ ხომ უკეთურება იქნებოდა, თოვლში და-  
ვაგდოთ ბავშვი, რომ სული ამოხტუნა! არა! თუმცა ისე-  
თივე ღარიბი ვარ, როგორც შენ, წვრილშვილი  
პირის შემომბეჭქვინა და სარჩო კი ახა რა მახადია,  
მაგრამ ამ ბავშვს მაინც წაფიყვან და ჩემი ცოლი  
იხრუნებს მასზე. — მოუფო თანამგზავრმა.

ბავშვი დიდის მზრუნველობით აიყვანა, წამოსას-  
ხამი შემოხიზნია, რომ ზამთრის სუსხისაგან დაეფარა  
და დაეშვა ფერდობით სოფლი-  
საკენ.

ამხანავს დიდად აოცებდა მისი  
სისულელე და გულჩვილობა. მიუახ-  
ლოვდნენ რა სოფელს, ასე მი-  
მართა:

— შენ ხომ ბავშვი მიგაკავს,  
წამოსასხამი მე მომეცო, აქი მოგ-  
რივით, რომ უნდა გავგიყო!

— არა, წამოსასხამი არც შენია  
და არც ჩემი, ის ბავშვისაა, — თქვა  
რა ეს, გამარჯვება უსურვა და  
სახლს მიაშურა. დააკუნა, ცოლმა  
კარები გაუღო და რაკი ქმარმა  
მშვიდობით დაბრუნებული დაი-  
ნახა, გადახეცია და გადაკოცნა, ფიჩხის კონა ჩამო-  
სხნა, ფეხსაცმლიდან თოვლი გაღწეწმინდა და შინ  
შეიწვია; მაგრამ შეშისმკერდმა ზღურბლიდან ფეხი  
არ მოიკვალა:

— ერთი რამ ვიპოვე ტყეში და შენ წამოგიღე  
მისაველელად, — უთხრა მან.

— ამა რა არის?! — შეჰყვირა ცოლმა, — მაჩვენე  
ერთი, სახლი გამოშვებულნი გვაქვს და რამდენი  
რამ გვეკრებება. ქმარმა წამოსასხამი გადასწია და  
მძინარე ბავშვი დაინახა.

— უი ჩემ თვალებს. — წაილღლულა ცოლმა. —  
ადამიანი, ჩვენები ცოტა გვეკავს, რომ სხვისი შვი-  
ლი არ მოუსცავ ამ ჭერას?! ვინ იცის ახლა, თუ ცუ-  
დი ფეხისაც არ არის; ან როგორ გამოვზარდოთ! —  
ჯავრობდა ის.

— მაგრამ იცო, რომ ეს ბავშვი ვარსკვლავის შვი-  
ლია?! — უთხრა ქმარმა და აშკრო უცნაური ამბავი  
მისი პოვნისა. ცოლი მაინც ეერ დამშვიდდა, დას-  
ცინოდა, გულსწყრომით წამოსასხამი კვებოდა და ყვი-  
როდა:

— ჩვენს შვილებს პური აკლდეთ და სხვისა გვეე-  
ბოთ? ჩვენზე ვინა ზრუნავს, ჩვენ ვილა გვაძლევს?!





— მაგრამ ღმერთი ხომ ბელურებზედაც კი ზრუნავს და კვებავს მათ, — მიიფო ქმარმა.

— განა ბელურები კი არ იხორციებიან შიმშილით ზამთარში? — ჰკითხა ცოლმა, — და ახლაც ხომ ზამთარია.

ქმარი ზღურბლთან უძრავად იღვავდა და დუმდა. ღია კარიდან ტყის ცივი ქარი უზებავდა. ქალს ქრუანტელს ჰგვრიდა და აძაგავდა.

— არ დახურავ კარებს? სუსხიანი ქარი შემოდის და მცივა, — უთხრა ქმარს.

— გულქვა პატრონის სახლში ცივი ქარი განა ყოველთვის არ არის? — ჰკითხა ქმარმა. ცოლი უსიტყვოდ მივიდა ცეცხლთან. შერე მოტრიალდა და ცრემლით საესე თვალეში ქმარს მიაპყრო. ქმარი მსწრაფლ შემოვიდა და ბავშვი მკლავებში ჩაუწვიინა; ქალმა მას ააოცა და დააწვიინა პატარა საწოლში, რომელშიც მათს უძერის შვილს ეძინა.

დილით შეშისმკრელმა საუცხოო ოქრომკელით ნაქარგი წამოსასხამი დიდ სკიერში ჩადვა, ცოლმა იქვე შეინახა ქარვის მძივი, რომელიც ბავშვს ყელზე ეკეთა.

ამრიგად ვარსკვლავის შვილი შეშისმკრელის ბავშვებთან ერთად აღიზარდა; სუფრას ერთად უსხდნენ, ერთადვე თამაშობდნენ. ყოველწლიურად ის ხელ ლამაზდებოდა, რომ იმ სოფელში მცხოვრებნი გაოცებაში მოჰყავდა. ისინი ყველანი შავგვრდნანები იყვნენ, ვარსკვლავის შვილი კი თეთრი და ნაზი, ვით ნათალი სპილოს ძვალი. კულულები ყვითელ ნარგებს უგავდა, ტუჩები წითელი ყვავილის ფურცლებს, თვალეში იას, წყლის პირს ამოსულს, ტანი კი ლალად გაზრდილ მინდვრის ნარგისს. მაგრამ ეს სილამაზე ღუბავდა მას, რადგან ამაპრტავანი, უღმობელი და თავისთავის მოყვარული იზრდებოდა; შეშისმკრელის შვილები და სოფლის ბავშვები ეჯავრებოდა: — ისინი დაბალი წარმოშობისანი არიან, მე კი კეთილშობილი, ვარსკვლავიდან ჩამომხტაროი, — ამბობდა; მათზე ბატონობდა და თავის მსახურებს უწოდებდა. ღარიბი, უსინათლო,

მახინჯი თუ დაჩაგრული არ ებრალდებოდა, ქებებს ესროდა და შარავნაზე რეკავდა — სხვაგვარად ვერაფერს ვიკეთო. — ეუბნებოდა. ისე რომ ყაჩაღებს უკაცურად იმ სოფელში მეორედ აღარავინ მოსულა მოწყალეების სათხოვნელად.

სილამაზე უყვარდა ვარსკვლავის შვილს: უძლურს და უღაზთან დასცინოდა, მასხარად იგდებდა, თავისთავს კი ეტრფოდა. ზაფხულობით, რა ქარი ჩადგებოდა, მღვდლის ხილნარში ჰქის ნაპირას წვებოდა და ჩასცქეროდა საოცრებას თავის სახისას, რომლის მშვენიერებით გამოწვეული სიამე მას სიცოცხეს ჰგვრიდა.

შეშისმკრელი და მისი ცოლი ხშირად ტუქსავდნენ: — ჩვენ ხომ არ მოგვეცით ისე, როგორც შენ ექცივი განწირულს, რომელსაც არავინ ჰყავს ნუგეშისმცემელი! რისთვის ხარ ასეთი მკაცრი ყველას მიმართ, ვინც კი შებრალდება საჭიროებს? — ეუბნებოდნენ ისინი.

მღვდლიც ხშირად იბარებდა მას, ცდილობდა ცოცხალი არსებისადმი სიყვარული აღეძრა:

— ბუზიც კი შენი ძმა არის, ეუბნებოდა — წურას ავენებ. — გარეულ ფრინველებსაც, ტყეში რომ დანავარდობენ, თავისუფლება აქვთ მინიჭებული, შენი სიამოვნებისათვის ნუ გაბამ მახეში...

მაგრამ ვარსკვლავის შვილი ყურსაც არ იბერტყავდა, იპრანებოდა და მასხარად იგდებდა, ისე ტოლ-ბიჭებში მიდიოდა და მეთაურობდა; ისინიც ემოჩილებოდნენ, რაკი ღამაში და ფეხმარდი იყო, შეეძლო ცეკვა და სალამურიც კარგი იცოდა. სად უნდა წაყვანა ისინი ვარსკვლავის შვილს, რომ არ გაჰყოლებდნენ, რა უნდა ებრძანებინა, რომ არ შეეცაღებინათ?! წაწვეტებული ღერყით თხურელას ბინდვადაკრულ თვალებს უჩიჩქნდა თუ კეთილგანს ქვებს ესროდა, — ისინი ერთნაირად იციზოდნენ. ერთი სიტყვით, ყოველნაირად ბატონობდა მათზე და ისინიც ისეთივე ჰქის გულისანი გახადა, როგორიც თვითონ იყო.

ერთ დღეს სოფელზე საწყალმა მათხოვარმა დედაცკმა გაიარა. ტანსაცმელი დაფუთილ-დაძინძილ ჰქონდა, ხამ გახე სიარულით ფეხებიდან სისხლი სდიოდა და საცდავი სანახავი იყო. დალილდაქანტკული კაკლის ძირში დააჯდა შესასვენებლად.

ღაინახა თუ არა ის ვარსკვლავის შვილმა ამხანაგებს მასზე მიუთითა:

— შეხე, ერთი, იმ შეფთილილ მშვენიერ ხის ძირას რა უმსგავსო მათხოვარი დამჯდარა. არიქა, გავადგოთ აქედან ეგ უშრო და უღაზათო!

მიუახლოვდა, ქეები დაუშინა და დაინვა დაუწყყო. მათხოვარი შემკრთალი შესცქეროდა, მაგრამ თვალს მაინც არ აშორებდა. იქვე ახლოს შეშისმკრელი კუნძებს აპობდა, მოჰქრა რა თვალი ვარსკვლავის შვილის საქციელს, მიიბინა და უსაყვედურა:

— მართლაც გულქვა ხარ და დაუნდობელი! ამ საბრალმა ამა რა დავიშავა, რომ ასე ექცივი?

ინგლისურიდან თარგმნის თინა თუმშალიშვილმა და მაცყალა ყიფშიძემ.  
(დასასრული შემდეგ ნომერში)

# ნორჩი მოსაკვავეები, მომლარეები, დეკლამატორები...

ოპერის თეატრში პირდაპირ ტყეა აღარ არის. საიდან არ მოსულან დღეს აქ: აპარიდან თუ გუ-რიიდან, რაქიდან თუ ლეჩხუმიდან, სენათიდან თუ სამეგრელოდან, ქართლიდან თუ კახეთიდან... სა-ქართველოს ყველა რაიონიდან მოსულან ბავშვები, ნორჩი ტალანტები, მოსულან, რათა მონაწილეობა მიიღონ ბავშვთა პირველ რესპუბლიკურ ოლიმპი-ადაში...

იხსენება ფარდა. სცენაზე პირველად გამოდიან დედაქალაქის მოსწავლე მომღერლები. გუნდი იწ-ყებს სიმღერას „იმავ მთაზუნდა.“

დარბაზში სიწყნარია. სულგანა-ბულნი უსმენენ მშვენიერ სიმღე-რას. გუნდის სოლისტი გიორგი ბოტკოველი ერთიანად ატყევეებს მათყურებლებს. ცოტა ხანი და... სიმღერაც წყდება. დარბაზში ტანი გრიადებს.

ჯერ კიდევ არ დამცხრალა ტანი. მათყურებლების წინაშე დგას პატა-რა გოგონა, მეთოთხმეტე სკოლის მოსწავლე იამზე ტყავაძე. „ბე-ლადს!“ — ძლივს გაისმის მისი ხმა დარბაზში. კვლავ სიჩუმე დგება. მკაფიოდ, ლამაზად და მიზიდვე-ლად კითხულობს ლექსს ნორჩი დეკლამატორი.

იამზეც ცვლის მისივე ტოლა მოსწავლე მელდე კანდელაკი. მელდე საკუთარ ლექსს კითხულობს.

— მარინე იაშვილი ვიოლინოზე შესარულებს „სიცილიანა და რიგო-ლინს“ — აცხადებს ნორჩი კონფე-რანსიე.

მარინე უკვე სცენაზეა. უკრავს ვიოლინოზე, უკ-რავს დინჯად, დაკვირვებით... მასაც მოწონების ტანით აჯილდოებენ.

ცოტახნის შესვენება. შემდეგ კვლავ იხსენება ფარდა. სცენაზე ხტუნვი ხტუნვით შემოდის „ბაყა-ყი“ — პატარა ბიჭი, რომელიც ჩაცმულობით მარ-თლა ბაყაყს ჰგავს. მალე მოფრინდება „კოლოც“ — „კოლო“ და „ბაყაყი“ ჩივიან, ჭკობები ამოაშრეს და თავშესაფარი დაეკარგეთო. ამ დროს კულისე-ბიდან მოისმის პიონერების ხმაური. სიცილ-კისკი-სით შემოდინან ბავშვები.

„კოლო“ და „ბაყაყი“ იმალებიან. ესენი ფოთლები არიან. შესანიშნავად ასრუ-ლებენ ინსცენირებას კოლხიდის შესახებ.

ფოთს სიღნაღის რაიონი ცვლის. კონფერანსიე აუწყებს მათყურებლებს, რომ მოსწავლე თამარ სა-რაჯიშვილი შესარულებს ხალხურ სიმღერას — „ორო-ველა“. თამარი იწყებს სიმღერას, იწყებს და აჯა-დოებს მთელ დარბაზს.

მის შემდეგ კვლავ მომღერალი გოგონა, წინანდ-ლელი მარია ანტონოვა, გამოვიდა. დიდ გრძნო-ბით და სიფაქიზით იმღერა „ურმული“.

მეორე დღესაც საინტერესო ნორჩები იყო. აქა-რელმა მოსწავლეებმა გვიჩვენეს მშვენიერი ლიტე-რატურულ-მუსიკალური მონტაჟი, რომელიც აყვავებული აპარისადმი იყო მიძღვნილი. ოთხმოცამდის ნორჩი მომღერალი, მოცეკვავე თუ მუსიკოსი იღებდა მონაწილეობას მონტაჟში. ამ ბავშვებმა საერთო მიწონება დაიმსახურეს.

ყველას მოეწონა აგრეთვე თიანე-თელი მოსწავლის ნესტორ ხიაიუ-რის სიმღერა: ნაზი, ხვევრივანი, მომხიბლველი ხმით უმღეროდა პატარა ნესტორი დიდ ბელადს...

მესამე დღესაც, მეოთხსაც საესე იყო თეატრი. ბავშვები კვლავ საინ-ტერესო, წარმატა-ცი ნორჩებით გა-მოდიოდნენ. ზოგიერთი მათგანი პირდაპირ წარუშლულ შთაბეჭდი-ლებას ტოვებდა მათყურებლებზე. მკაფიოდ, ძალიან კარგად ცე-კვავდნენ ლექურს თბილისელი მო-სწავლე ქართლის კაპანაძე, სოხუმე-ლი რეზო ჯელიძე და სხვები, ძალიან კარგად მღეროდა მკაცვალა გედე-ვანიშვილი, კარგად კითხულობდნენ ლექსებს ნოდარ კიკვიძე, რეზო თაბუკაშვილი...

შესვენების დროს მათყურებლები ათვალისწინებდნენ ბავშვთა ნამუშევრების გამოფენას. რა არ იყო აქ გამოფენილი: ბიუსტები, ნახატები, ფოტოსურათე-ბი, მოდელები... ყველაფერი მონოდამ-ბით, გულის-ყურით შეგსრულდნით ნორჩ ტალანტებს.

ოთხ დღეს (ოცდახუთ, ოცდაექვს, ოცდაშვიდ და ოცდარვა ივნისს) მიმდინარეობდა საქართვე-ლოს ბავშვთა პირველი რესპუბლიკური ოლიმპია-და. ოლიმპიადამ გააოამქლავა ბევრი ნიჭიერი მო-მღერალი, მოცეკვავე, მუსიკოსი, დეკლამატორი...

ნორჩი ტალანტები გტაკვებით მღეროდნენ იმაზე, ვინც მათ მისცა ბედნიერი ბავშვობა, ვინც მათ ყვე-ლაზე უფრო უყვართ: მღეროდნენ დიდ სტალინზე, მღეროდნენ მის ღირსეულ თანამებრძოლებზე.



საქართველოს ბავშვთა რესპუბლიკური ოლიმპიადის მონაწილე, ბათუმის მე-10 სკოლის მოსწავლე დოდაკ მოსწრაფე-შვილი, ასრულებს მიილუტის.



შუბიკა თამარ შამიჩვაშვილისა.

# ბ ზ რ ი ე ლ ე

შუბიკის მოსმენისათვის

*Allegretto.*

*Piano* *mf*

*f*

*rit.*

*poco* *morendo*

## პასუხი „პიონერის“ № 5-ში მოთავსებულ გასკართოვზე

ნახატ-კონტროლოგრაფი მოთავსებულია  
შემდეგი სავანები:

1. თასი, 2. საათი, 3. პარაშუტი, 4. ხაღრაკის ფიგურა, 5. ჩოგანი, 6. იალგანი, 7. ღუბა, 8. მონადირის ჩანთა, 9. ბურთი, 10. ხელუფხაბა, 11. სიშტი, 12. ვაზა, 13. ციბა, 14. გირი, 15. უტანა, 16. საგი, 17. დამბაჩა, 18. გლუშუნები, 19. კიბლანი, 20. ნიჩაფი, 21. თხილავუბები, 22. ბოგრი.